№ 79. 18 აპრილი, შაბათი. 1866 - 1881 18 აპრილი, შაბათი. № 79.

რედაქცია
გალავანის პროსპექტზედ, ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროებას“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროებას“-„ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | | წელიწადში. | 6 თვეს | 3 თვეს |
|---|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე | „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| | „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
წვრილი ასოებით ასოზე 1 კაპ., ... ნახევარი კაპ. ... ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ნინა სემიონის ასული კნეინა ორბელიანისა და ნინა ალექსანდრეს ასული კნეინა აბაშიძისა, სულით მწუხარენი აუწყებენ ნათესავთ და მეცნობთ გარდაცვალებას კნიაზის **სიმონ დავითის ძის აბაშიძისა**, პირველი მამისას და მეორე მამამთილისას და სთხოვენ ინებონ და მობძანდნენ სამშაბათს 21 აპრილს, 9½ საათზედ, ქვაშვეთის ეკლესიაში, პანაშვიდზედ. (2—1)

არწრუნის თეატრში
კვირას, 19 აპრილს
ქართულ ტრუპპისაგან წარმოიდგინება აბონიმენტის რიცხვში

**რევიზორი**

კომედია 5 მოქმედებად გოგოლისა.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში.

დასაწყისი 8 საათზე.

## ტელეგრამმები

პეტერბურღი, 16 აპრილს. გაზეთ „ნოვოე ვრემიაში“ დაბეჭდილია, რომ პოლიტიკურ დამნაშავეთ ტრიგონის და სხვების გასამართლება დანიშნული იქნება ივნისის თვეში.

გაზ. „გოლოსში“ იწერებიან, რომ მოსკოვში აღდგომა ღამეს რამდენსამე ალაგას აკრული იყო რევოლიუციონერების პროკლამაცია; „ნაროდნაია ვოლიას“ პროკლამაციები აღდგომის კვერცხებში იყო ჩაწყობილი.

იმპერატორის მსროლელთა (სტრელკების) ფორმა მთელს არმიაში იქნება შემოღებული.

პარიჟი, 15 აპრილს. დღეს გარდაიცვალა აქ გამოჩენილი ჟურნალისტი ემილ-დე-ჟერარდენი.

ლაკალლ (ალჟირია), 15 აპრილს. ფრანცუზის ჯარმა დაიჭირა გუშინ ტაბარკის კუნძული, რომელიც თუნისელებმა მიატოვეს.

გრაც, 15 აპრილს. დღეს გარდაიცვალა აქ ფელცეხმეისტერი ბენედეკი.

კენიგსბერგი, 15 აპრილს. აქ დაიჭირეს სტუდენტი იოსებ ფენდერი, რომელსაც იმპერატორის ვილჰელმის მოკვლის განზრახვა ჰქონდა.

სტამბოლი, 15 აპრილს. ახლანდელ ხონთქრის სიმამრი მაჰმუდ-დამატ-ფაშა დაატუსაღეს; იმას აბრალებენ, რომ ხონთქრის აბდულ-აზისის მოკვლაში მიიღო მონაწილეობა და ამას გარდა, მურადის რეგენტობის დროს, ხონთქრის ბრილიანტები დაისაკუთრაო.

## ახალი ამბები.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების უკანასკნელს პროტოკოლში, სხვათა შორის, დაბეჭდილია გერმანიიდამ მიღებული დოქტორი ბლანკენგორნის წერილი ფილოქსერის თაობაზედ. ამ წერილში ბ. ბლანკენგორნი ამბობს, რომ ყველა სახელმწიფოებში, სადაც კი ფილოქსერას ავათმყოფობა გაუჩნდა ვაზსო, ყველგან ამერიკიდამ გამოიწერეს ვაზის ნერგები და მოაშენეს ან ზედ ადგილობრივი ვაზები დამყნესო; ამიტომ ისიც ურჩევს კავკ. სამეურნეო საზოგადოებას, რომ გამოიწეროს ამერიკიდამ ვაზის ნერგები, რადგან ამერიკის ვაზს ფილოქსერა ვერას აკლებს, ვერ ავნებს, და გაავრცელოს კავკასიაში.

ზემოხსენებულ ჩვენს სამეურნეო საზოგადოებას ვარდაუწყვეტია, რომ გამოიწეროს ამერიკის ვაზის ნერგები და თფ. აკლიმატაციის ბაღში მოაშენოს.

ამავე პროტოკოლიდამ ვტყობილობთ, რომ ქ. ნუხში მცხოვრებ ფრანცუზს ლერისიეს უთხოვნია მეურნეობის საზოგადოებისათვის ათასხუთასი მან. იმ პირობით, რომ აბრეშუმის ჭიას მოვაშენებ და ხალხს დაურიგებ თესლსაო. ამ საგნის განხილვა საზოგადოებას ცალკე კამისიისათვის მიუნდვია.

* * *

გაზ. „მოსკოვის ტელეგრაფში“ იწერებიან, რომ უმაღლესს მთავრობას მოუთხოვია ყარსის ადგილობრივ ადმინისტრაციისათვის აცნობოს თუ რა მიზეზია ამ მაზრიდამ ოსმალეთში ხალხის გარდასახლებისა.

სასურველია, რომ ამ გვარივე გამოძიება მოახდინონ აგრეთვე ბათუმის მაზრაშიაც, საიდამაც აგრეთვე დიდძალი ხალხი გადავიდა და ახლაც გადადის; მოახდინონ გამოძიება და მოსპონ ეს მიზეზები.

* * *

ბორჩალოს მაზრაში, მტკვრის ნაპირას 6 ვერსზე, კალია გამოჩენილა და ადმინისტრაციის განკარგულებით ხალხი გამოუყვანიათ ამ კალიის გასაქლეტათ. ამბობენ, შარშან დახელოვნებული ხალხი წელს ძალიან მარჯვედ მოქმედობს, ბევრ კალიას ქლეტენო.

* * *

ჩვენ შევიტყვეთ, რომ მომღერალი ფ. ქორიძე ამ დღეებში ქუთაისს აპირებს წასვლას და იმ დროისთვის, როცა იქ თავად-აზნაურთა კრება იქნება, ორი კონცერტი უნდა გამართოს. სხვათაშორის, ბ. ქორიძე წარმოადგენს სცენას რუსულ საუკეთესო ოპერიდამ **„Жизнь за Царя“** და აგრეთვე იმღერებს თავისგანვე ნოტებზე დაწყობილ ქართულ სიმღერებს. ქუთაისიდამ ბ. ქორიძე აპირებს უკან გორც დაწესებას, სადაც უნდა ... 

„დროების“ ფელეტონი, 18 აპრილს.

## ცოტა რამ პედაგოგიიდამ

„მასწავლებელი, ამბობს პედაგოგია, არის სული სკოლისა“; მე დაუმატებ: სკოლა არის სული ხალხისა. აქედან სჩანს, რა უნდა იყოს მასწავლებელი ხალხისთვის. მასწავლებელი არის ის დედა-ბოძი, რომელზედაც დამყარებულია ხალხის გონებითი და ზნეობითი კეთილ დღეობა; მასწავლებელი არის ის ქვა-კუთხე, რომელზედაც აშენებულია ხალხის წინ-მსვლელობა. ეს დიდი მნიშვნელობა მასწავლებლისა ხალხის კეთილ დღეობაში მაიძულებს ცოტა შორიდან დავიწყო საუბარი. რადგანაც დროთა-ვითარებამ ჩვენი ბედ-იღბალი შეაერთა რუსეთის ბედ-იღბალთან, იმიტომ რუსეთის მასწავლებლების ხასიათზე ორიოდ სიტყვის თქმა მეტი არ იქნება.

რუსეთში სწავლა განათლებისადმი ლტოლვილება პირველად აღიძრა ქრისტიანობის გავრცელების დროიდგან, ე. ი. 988 წ. მაშინ პირველი მასწავლებლები იყვნენ საბერძნეთიდან მოსული მღვდლები, რომელთაც ჰქონდათ მიზნათ მოემზადებინათ ეკლესიაში მოსამსახურე პირები. მაშინდელ რუსის ხალხის ცხოვრებას სხვა მოთხოვნილება არა ჰქონდა, გარდა ქრისტიანობის გავრცელებისა, და სკოლა აკმაყოფილებდა კიდეც ამ მოთხოვნილებას.

როგორც მთელ რუსეთის ხალხის ცხოვრებაში პეტრე დიდამდინ არ მომხდარა თვალსაჩინო ცვლილება, ისე ამის-და-გვარათ სკოლამაც შეირჩინა უწინდელი განსაკთრებული ხასიათი: დარჩნენ იგივე სასულიერო წოდების მასწავლებლები; სწავლის საგნებით იყვნენ ისევ „დავითნი“, „ჟამნი“ და სხვ.

პეტრე დიდის მეფობის დროს რუსეთის ხალხის ისტორიაში მოხდა დიდი ცვლილება და ამ ცვლილებამ იქონია გავლენა სკოლებზედაც. პეტრესთვის საჭირონი იყვნენ რეფორმების ასასრულებლათ კარგათ მომზადებული ჩინოვნიკები და ომისთვის აფიცრები და სალდათები. ამათ მოსამზადებლათ პეტრემ სხვა სახელმწიფოებიდამ გამოიწვია დახელოვნებული პირები; ესენი იყვნენ მასწავლებლები, რომლებიც უფრო წვრთნიდნენ ყმაწვილებს ვიდრე ზრდიდნენ. ცხოვრება უფრო ამას მოითხოვდა და ეს მასწავლებლები აკმაყოფილებდნენ ამ მოთხოვნილებას.

მაშინდელ სკოლას ჰქონდა უფრო სპეციალური ხასიათი და ეს ხასიათი შეირჩინა ეკატერინე მეორემდის. ამ დროს მთელ ევროპაში მოხდა მოძრაობა და ამ მოძრაობის მიზეზნი იყვნენ ესრეთ-წოდებულნი „გუმანისტები“ (კაცთ-მოყვარეები), რომელთაც ჰქონდათ მიზნათ შეეცვალათ ყველა კანონ-მდებლობა, რომ ეს კანონ-მდებლობა ყოფილიყო დაფუძნებული ადამიანის ბუნების მოთხოვნილებაზედ, რადგანაც საშუალ საუკუნოების შეხედულობა, როგორც დაფუძნებულის მუშტის ძალაზედ და ფულის ღონეზედ, აღარ გამოდგებოდა ეხლა, მეთვრამეტე საუკუნეში.

ეკატერინემ, როგორც განათლებულმა ქალმა, მიიღო მონაწილეობა ამ მოძრაობაში; მიწერ-მოწერა ჰქონდა გამოჩენილ გუმანისტებთან, შედეგი ამ მიწერ-მოწერისა იყო მთელი რუსეთის კანონ-მდებლობის შეცვლა. სკოლასაც ისე დაუწყეს ყურება, როგორც დაწესებას, სადაც უნდა აღიზარდოს ადამიანი და არა ჩინოვნიკი და აფიცარი. მაგრამ ამ გვარი ცვლილება ეკატერინეს ჰსურდა მოეხდინა იმავე ძველი მასწავლებლების შემწეობით; რასაკვირველია, იმან ეს ვერ მოახდინა, თუმცა სკოლას კი აღარ ჰქონდა ისეთი მკაცრი ხასიათი, როგორც უწინ.

ამ სახით რუსეთის სკოლა დარჩა ალექსანდრე პირველამდინ, როდესაც, ე. ი. 18 იანვარს 1801 წ. მოხდა ჩვენი რუსეთთან შეერთება. 1804 წ. გამოცემული იყო ახალი წესდება სკოლებისა, და ამ წესდების ძალით ყველა სკოლები დაიყვნენ სამ ნაწილათ: გიმნაზიები, სამაზრო სასწავლებლები და სოფლის სკოლები. ამ სკოლებისთვის გამოცემული იყო ისეთი ვრცელი პროგრამმები, რომ იმათი ასრულება ისე მოკლე ხანში ყოვლად შეუძლებელი იყო, მეტადრე იმისთანა მოუმზადებელი მასწავლებლებით, როგორებიც ჰყავდა მაშინ რუსეთს. იმიტომაც მთავრობა იძულებული გახდა 1819 წ., განათლების მინისტრის უვაროვის წინადადებით, შეემსუბუქებინა ეს პროგრამმები.

დაბრუნებას და კონცერტის გამართვას ბორში და შემდეგ სიღნაღში და თელავში.

* * *

ბათუმიდამ გვწერენ, რომ იქაურ სპარსელებსა და თათრებს რაღაც ზარის თამაში მოუგონიათ, ტრაქტირებში და დუქნებში იტყუილებენ ხამ ხალხს და ხშირად უკანასკნელ კაპეიკს აგებინებენო. ადრე პოლიცია უშლიდა ამ თამაშს, მაგრამ ახლა, ამბობენ, ერთი პოლიციის მოხელეც თვითონ წილს იღებს ამ თამაშობით მოგებულს ფულში, აღარავინ დამშლელი აღარ არისო და ამ ნაირად ხალხს მოტყუილებით და გაიძვერობით ატყავებენო.

* * *

სოფ. ძეგვიდამ შემდეგ ამბავს გვწერენ რომლისათვისაც „კავკასიის სამეურნეო საზოგადოების“ ყურადღება მიგვიქცევია:

„ახლანდელი ჩვენი დარდი ეს გახლავთ: ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ჩვენ ვენახებს შემოეჩვია ესრედწოდებული „კოკონა ჭია“, რომელმაც ლამის არის სულ ერთიანად დაგვიხმოს ე რაღაც საცოდავი ვაზები გვიდგა.

„ეს მწერი ვაზის ქერქში იკეთებს აბლაბუდესავით ბუდესა და იმაში ჰყრის ხოლმე თესლსა. როგორც გაზაფხულდება თუ არა, გამოდის ის ბუდიდგან და პირდაპირ ვამოწეულ ვაზის კვირტში ძვრება, რომელსაც სულ მთლად გამოჭხრავს ხოლმე. ბამოხრული კვირტიდგან, თუმცა კიდევ გამოდის რქა, მაგრამ ის არც თამამად იზრდება და ვერც ნაყოფს იღებს.

„უფრო დიდ ზარალს ეს მწერი იმ ვენახებს აძლევს, რომლებსაც ადრეულად შეჰყელვენ ხოლმე; ეს იმიტომ რომ გაბმულ გამობმულ რქების საშუალობით უფრო ადვილად გადადის იგი ერთი ვაზიდგან მეორე ვაზზე და ბოლოს ედება მთელს ვენახსა.

„ამ მავნე და მეტად მაზარალებელ მტრის წინაალმდეგ ჯერ-ჯერობით ვერაფერი ზომა ვერ მიგვიღია-რა. ნეტა თუ რა ღონის-ძიებით შეგვიძლიან ამ დაუძინებელი მტრის დაძლევა?

## ტაქსია

**საკვებათ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დახლებით ერთის თვის განმავლობაში, 15 აპრილიდამ 1 მაისამდის.**

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

პირველის ხარისხის — 1 გირვ. $5^1/_2$

მეორის „ — 1 გირ. 4

იმავე ფქვილიდამ თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის — 1 გირვ. 6 კ.

მეორის „ — 1 გირ. $4^1/_2$

ჯვარის-მამის პური:

პირველის ხარის. ლავაში 1 გირ. 7

მეორის „ „ 1 გირ. $5^1/_2$

მესამის „ „ 1 გირ. 5

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის — 1 გირ. 12 კ.

მეორის „ — 1 გირ. 10

სუკი — 1 გირ. 18

ცხვრის ხორცი 1 გირ. 14

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის — 1 გირ. 14

მეორის „ — 1 გირ. 12 კ.

ეს ტაქსია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც თფილისის ბაზრებში და მაედნებზე მოაქვსთ ხორაგი გასასყიდლად.

## კიდევ ჩვენს ახალ-გაზდობაზედ.

(პასუხი ს. ლორთქიფანიძეს)

ჩემმა სტატიამ ჩვენი ახალ-გაზდობის შესახებ („დროება,“ № 47) გამოიწვია ბ. ს. ლორთქიფანიძის პასუხი, რომელიც შეადგენს ვრცელს სტატიას („დროება“ № 72, 73). სასიამოვნოა, რომ გაზეთში აღიძრა ლაპარაკი ჩვენი ახალ-გაზდობის მდგომარეობის და მოვალეობის თაობაზე; ეს საგანი იმდენათ დიდ მნიშვნელობიანია, რომ მისი გარკვევა და შემუშავება ერთობ საჭიროა და აუცილებელია, რადგანაც ამ საგანზედ ჩვენს მწერლობაში თითქმის არა თქმულარა.

შეუდგეთ ს. ლორთქიფანიძის სტატიის განხილვას. ზემოხსენებულ სტატიის დასაწყისში ვამბობდი, თუ რამდენათ მოშორებულია ჩვენი უმაღლესს სასწავლებელში მოსწავლე ახალ-გაზდა კაცი თავის სამშობლოზე და რამდენათ საშუალება აქვს მას, რომ თვალ-ყური ადევნოს თავის ქვეყნის საქმეს. მე ვალვიარე, რომ ჩვენი ახალ-გაზდობა „მოკლებულია თითქმის ყოველ ღონის-ძიებას, რომ თვალ-ყური ადევნოს თავის სამშობლო ქვეყნის საქმეებს.“ ვამტკიცებდი, რომ არც ჩვენი ლიტერატურა, არც ახალ-გაზდობის მდგომარეობა არ აძლევს მას მასალას და საშუალობას იმისათვის, რომ ახალ-გაზდობამ სწეროს „სახალხოთ გასაგებ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ბროშურები, მის უწინდელ ეტნოგრაფიულ და ეკონომიურ ცხოვრებაზე და გარდა ამისა გიგიენური დარიგებანი.“

ჩემი აზრის დასარღვევილად ბ. ს. ლორთქიფანიძეს მოჰყავს ამ-ნაირი მოსაზრება. „ჩვენს გიმნაზიაში კურს შესრულებული ყმაწვილი მიდის რუსეთში და თან მიაქვს ის ცოდნა, რაც ოცი წლის განმავლობაში შეუძენია თავის სამშობლოზე და ხალხზე; არ შეიძლებაო, რომ ოცი წლის მოსწავლემ არ შეიძინოს და არ დაინერგოს გულში იმ ხალხის და ქვეყნის ჩვეულებანი, ზნეობა, რომლის ნაყოფსაც ის შეადგენს და რომელსიც ის ეკუთვნის და სხვ. და სხვ.!! სამწუხაროთ, ეს მართალი არ არის და აი რისთვის; ჩვენი კურს-შესრულებული ყმაწვილი 17-18 ან 20 წლისა თავის სიცოცხლის ნახევარს ან ნახევარზე მეტს გაატარებს თავის ხალხში კი არა, არამედ საშუალო სასწავლებელში, რომელიც მას აშორებს და ცოტათი არ იყოს აეიწყებს თავის ქვეყნის წრეს და მის ვითარებას. გარდა ამისა ჩვენი საშუალო სასწავლებლები, სხვა-და-სხვა გარემოებათა ძალით, ისეთი კაცების ხელშია ჩავარდნილი, რომლებიც სრულიად ვერ იცნობენ ჩვენს ხალხს, მის მდგომარეობას და ხასიათს. თვით სასწავლებლებში არაფერს არ ასწავლიან იმისთანას, რაც ცოტათი მაინც შეეხებოდეს ჩვენს ქვეყანას და ცხოვრებას; არ ასწავლიან არც ჩვენ ისტორიას, არც ლიტერატურას; თვით გეოგრაფიაც ისწავლების ერთობ ნაკლებათ და შემოკლებულათ; ასე გასინჯეთ, რომ დედა-ენაც განდევნილია ჩვენი სასწავლებლიდგან; ამ გარემოების წყალობით ჩვენი ახალგაზდობის უმეტესობამ ერთობ სუსტად და ნაკლებათ იცის თავის დედაენა, იმოდენად, რომ არ შეუძლია

ჯერ კიდევ კარგათ არ იყო გავრცელებული ეს წესდებანი, რომ 1824 წ. მინისტრმა შიშკოვმა გამოსცა უფრო შეუსაბამი წესდებეები სკოლებისთვის. ეს წესდება ამბობდა რომ „აღზდა მთელს სახელმწიფოში უნდა იყოს ერთ-ვარი მიუხედავათ სარწმუნოებისა, ენისა და გვარტომობის გარჩევისაო“. რასაკვირველია, ამ წესდების ნალი ჩვენც მოგვხვდა, რადგანაც იმ ხანებში ჩვენშიაც ვრცელდებოდნენ სკოლები. ამ დროსვე დაარსდა პეტერბურღში უმთავრესი ინსტიტუტი, საიდანაც გამოდიოდნენ გიმნაზიის მასწავლებლები; შემდეგში, 1817 წ., ამ სასწავლებელს მოემატა მეორე განყოფილება, სადაც უნდა აღზრდილიყვნენ სოფლის მასწავლებლები.

მაგრამ ეს სკოლები ისეთ საცოდავ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რომ იქ აღზრდილნი მასწავლებლები ვერ აკმაყოფილებდნენ სკოლის მოთხოვნილებას; იმიტომაც განათლების მინისტრმა ა. გოლოვნინმა ამ ხუთმეტი წლის წინათ წარუდგინა სახელმწიფო რჩევას 15 საოსტატო სემინარის გახსნის პროექტი. ამ პროექტის დამტკიცებამდინ გოლოვნინი გამოცვალა ტოლსტოიმ, რომელმაც გოლოვნინის პროექტი უკანვე მოსთხოვა მთავრობას, და ამის ნაცვლად სასულიერო სემინარიების პროგრამმას მოუმატა პედაგოგიის გაკვეთილები იმ განზრახვით, რომ მღვდლებს მასწავლებლობაც აესრულებინათ სოფლებში. ამ წესის შეუსაბამობა ყველასთვის ცხადია, ვინც კი ცოტათი მაინც იცის ეხლანდელი პედაგოგიის მოთხოვნილება.

ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ საქართველოში რუსეთთან შეერთების დროს არც ერთი სკოლა არ იყოო. ეს განგებ შეცდომილებაა: ისტორიიდამ ვიცით, რომ საქართველოში თავისუფლების დროს, წერა-კითხვის ცოდნა გავრცელებული იყო და სწავლა-განათლებაც კარგ მდგომარეობაში, რასაკვირველია, შედარებით სხვა ამის ჯურა სახელმწიფოებთან. როგორ შეიძლებოდა ქრისტიანობის გავრცელება ხალხში, თუ არ გავრცელდებოდა სწავლა-განათლება? ქრისტეს სწავლა იმ გვარია, რომ იმის მიღება მოითხოვს ადამიანისაგან გონებით სიმაღლეს. თუ უსწავლელი ხალხი კიდეც მიიღებს ქრისტიანობას, როგორ შესძლებს ის ამდენს სარწმუნოებისთვის ატეხილ ომებში დაიცვას ქრისტიანობა, თუ ეს სარწმუნოება რბილში და ძვალში არ ექნება გამჯდარი? ჩვენს ხალხში იყო გავრცელებული ქრისტიანობა, მაშასადამე გვყვანდნენ მღვდლები და თუ იყვნენ მღვდლები უნდა ყოფილიყვნენ სკოლები, სადაც ეს მღვდლები იზრდებოდნენ.

ამასთანავე ყველა მღვდელი ვალდებული იყო ეკკლესიასთან გაემართა სკოლა. გარდა ამისა ეხლა ჩვენში გავრცელებულია ერთვარი ჩვეულება, რომელსაც ისტორიული განვლილი აქვს. ეს ჩვეულება მდგომარეობს აი რაში: ერთი რომელიმე პატიოსანი ოჯახი იყვანს გასაზრდელათ ღარიბი ოჯახის შვილსა, უფრო ხშირად ქალს. ეს ქალი ამ ოჯახში რჩება სრულ წლოვანობამდინ. გათხოვების დროს ამ ქალის საქმრო ვალდებულია მასწავლებელს მისცეს საოსტატო. ამ სახით ყველა თვალსაჩინო ოჯახი იყო სკოლა სადაც იზრდებოდნენ ღარიბი და ხშირად შეძლებული ხალხის ქალები.

სხვა არა იყოს-რა, ეს ამოდენი ისტორიული ნაშთენები, რომლების რიცხვი ჯერაც არ არის გამოკვლეულული და რომლების გამოკვლევა ელის მეცნიერებით აღჭურვილ ისტორიკოსებს, ეს მშვენიერი შენობეები, ეკკლესიები, სიმაგრეები, არხები, ყველა ეს არ გვიმტკიცებს ჩვენი ხალხის გონების სიმაღლეს? როგორ შეეძლო გონებით დაცემულ ხალხს აღეზარდა იმისთანა პირები, როგორიც იყვნენ თამარ დედოფალი, შოთა რუსთაველი, დავით აღმაშენებელი, ერეკლე მეორე, მოსე ხონელი, შავთელი, ჩახრუხაძე და სხვ.?

რასაკვირველია, ომს, ბრძოლას აქვს დიდი დამაბრკოლებელი გავლენა ყველა ხალხის წინ-მსვლელობაზედ, მეტადრე იმისთანა პატარა ხალხისა, როგორც ქართველელი იყვნენ; მაგრამ ერთი ის ფაქტი, რომ საქართველომ გაუძლო ამდენ ომებს, დაიცვა თავისი სარწმუნოება, გვარტომობა და, თავის უნებურათ არც ერთ ხალხს არ დამორჩილდა, ერთი ეს ფაქტი გვიმტკიცებს, რა გონებით სიმაღლეზედ იდგა ქართლის ერი თავისუფლების დროს

22 ენკენისთვეს 1802 წ. დაარსდა თბილისში სასწავლებელი 25 მოწაფისთვის, ეხლანდელი გიმნაზია, რომელიც კარგა ხანი ფრიად საცოდავ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ დროიდგან იწყება ჩვენი ხალხის სწავლა რუსეთის კანონ-მდებლობის ხასიათზედ. მაგრამ, საუბედუროთ, მაშინ ჩვენში მოხდა იგივე, რაც ეხლა ხდება ჩვენ ახლად შემოერთებულ ბათუმისა და ყარსის მაზრებში. რა არის მიზეზი იმ სამწუხარო მოვლენისა, რომ ეს ხალხი სტოვებს თავის სამშობლო ქვეყანას, და მიდის ოსმა-

გიმნაზიიდგან გამოსვლის შემდეგ უბრალო რამე დასწეროს და რომელიმე საგანზე ნახევარი საათი განაგრძოს ქართულათ ლაპარაკი.

ნუ თუ არ იცის ბ. ს. ლ—ძემ, რომ ის სისტემა, რომელიც სუფევს ჩვენს სასწავლებლებში, ასრულებს მხოლოდ იმას, რომ ყმაწვილი ივიწყებს არა თუ თავის დედა-წრის მდგომარეობას და ხასიათს, არამედ თვით დედა-ენას? რასაკვირველია, ამისთანა გარემოებათა წყალობით ე. ი. დედა-ენის, სამშობლო ისტორიის და ლიტერატურის უსწავლელობის წყალობით ჩვენი ახალ-გაზდობა ბევრს, ერთობ ბევრს კარგავს.

ზემოთ ნათქვამი რომ მართალია, იმაში დამეთანხმება ყველა, ვისაც კი საშუალო სასწავლებელში უსწავლია.

ეხლა ვკითხოთ ს. ლ—ძეს: რა მიაქვს უმაღლესს სასწავლებელში ჩვენს ახალგაზდა კაცს თავის ქვეყნის შესახებ; ცხადია, რომ სხვა და სხვა ქვეყნების მდგომარეობასთან შედარებისათვის ბევრი მასალა არ მიაქვს და საშუალებასაც მოკლებული იყო ძალა-უნებურათ, რომ საკმაო მასალა შეეძინა და ჩაენერგა ტვინში და გულში. აბა, რა უნდა შეადაროს ყმაწვილმა კაცმა სხვა და სხვა ხალხების ცხოვრებიდგან ამოკრეფილ ფაქტებს, როდესაც ის იცნობს მხოლოდ თავის დედა კუთხეს და ქალაქს, რომელშიაც უცხოვრია! ეხლა ისიც მოვიხსენიოთ, რომ ყმაწვილის ნორჩი გონება, ზოგიერთი ცხოვრების მხარეებს არავითარ ყურადღებას არ აქცევს და მაშასადამე ეს მხარეები მისთვის შეუმჩნეველნი რჩებიან; ზოგიერთი ფაქტებს კი ჯეროვან ყურადღებას არ აძლევს, რადგან მათი მნიშვნელობა არ ესმის; ყმაწვილის შთაბეჭდილებებისათვის საჭიროა ცოტა რამ ცოდნა და განვითარება, რომელსაც იგი მოკლებულია საშუალო სასწავლებლების წყალობით.

იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენი ახალგაზდობა არ არის მოშორებული თავის სამშობლოს და აქვს საშუალება თვალ-ყური ადევნოს თავის ქვეყნის საქმეებს, ს. ლ—ძე ამბობს შემდეგს: „მკითხველმა კარგათ იცის, რომ უმეტესობა ჩვენი სტუდენტობისა ყოველ წლობით მაისიდგან სეკტემბრამდინ, ესე იგი ოთხი თვე, თავის სამშობლოში მოდის და ისევ თავის ხალხის ცხოვრების ბრძოლას შესჰყურებს…“ „ნუ თუ იმ უმეტესობას არ შეუძლია, დაბრუნდება რუსეთში თუ არა, გააცნონ ხალხის ცხოვრებიდგან ფაქტები სხვა ახალგაზდობასაც… რომელიც… მოკლებული იყო სამშობლოს ნახვასა“…

მაგრამ ყველამ კარგათ იცის, რომ საზაფხულოთ ახალგაზდობის უმეტესობა კი არა, არამედ უმცირესი ნაწილი მოდის სამშობლოში; ის უმცირესი ნაწილი, რომელსაც საკმაო მატერიალური შეძლება აქვს. ავილოთ მაგალითად პეტერბურღი და მოსკოვი, სადაც ჩვენი ახალგაზდობის უმეტესობა შეჯგუფულია: პეტერბურღიდგან წამოსვლისათვის და უკანვე დაბრუნებისათვის საჭიროა სულ ცოტა რომ ავილოთ 120 მან.; მოსკოველი სტუდენტისთვის კი 100 მან. გარდა გზის ხარჯისა, ცოტა სხვა რამეც არის საჭირო. 120 და 100 მ. ჩვენი ახალგაზდობის უმეტესობისათვის შეადგენს თითქმის ნახევარი წლის ხარჯს, ზოგი კი ამასაც მოკლებულია; უმეტესობა ჩვენი ახალგაზდობისა ერთობ შევიწროებულ მატერიალურ მდგომარეობაშია და ამისათვის უფრო ხშირად ოთხი, ხუთი წლის განმავლობაში თავის სამშობლოს ნახვისათვის არა აქვს თითქმის არავითარი საშუალება. ის უმცირესი, მატერიალურის მხრით დაკმაყოფილებული ნაწილი ჩვენის ახალგაზდობისა, რომელიც ყოველ წელიწადს მოდის თავის სამშობლოში, არაფერს არ აკეთებს გარდა ბალებში სიარულისა და ქუჩების ტკეპნისა, ვიზიტებისა და დროს გატარებისა; ეს სწორეთ სამწუხარო მოვლენაა და ამისათვის იძულებული ვართ ვაღვიაროთ იგი საქვეყნოთ, თუმცა, შესაძლებელია, ზოგიერთებს საწყენათაც დარჩეს. ეს მოვლენა, ბ. ს. ლ—ძეს ჩემზედ უკეთ უნდა მოეხსენებოდეს.

„წარმოიდგინეთ ახლა, მკითხველო, რომ ის უმცირესი ნაწილი ჩვენი ახალგაზდობისა, რომელიც ასე დარბაისლურათ და ქეიფიანათ გაატარებს სამ-ოთხ თვეს თავის სამშობლოში, დაბრუნდა ისევ რუსეთში; რა უნდა უამბოს მან თავის მოძმეებს გარდა ქორიკანაობისა და მასხრობისა?

ეს უმცირესი ნაწილი ვერ გაამართლებს ს. ლ—ძის აზრებს. მაშ ჩემი აზრი, რომ ჩვენი ახალგაზდობა თავის სამშობლოს მოშორებულიაო, მართალი ყოფილა.

პირველ ჩემ სტატიაში მე ვამტკიცებდი, რომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები ვერ მისცემს საკმაო მასალას ჩვენს ახალგაზდობას იმისათვის, რომ თვალ-ყური ადევნოს თავის ქვეყნის საქმეებს. „ეს აზრი, ამბობს ს. ლ—ძე სამწუხაროთ რაოდენიმეთ მართალიაო.“ მაშ ეს გამამართლებელი საბუთია.

ვამტკიცებდი, რომ ჩვენს ენაზე ისტორიული, ეტნოგრაფიული, ეკონომიური მეცნიერება არ არსებობსმეთქი. ამაზედ აი რა პასუხს იძლევა ს. ლ—ძე:

„ქართულ ენაზედ არ არის ამ საგნებზედ მეცნიერული თხზულებანი, მაგრამ… მაგრამ, ცოტა თუ ბევრი, ნათქვამი არის სხვა-და-სხვა ენაზედ, და ის აზრი, რომ ქართულ ენაზედ არ არის ამაეიზედ თხზულებანი, ვერ ამტკიცებს იმას, რომ შემდეგშიაც არ უნდა იქმნეს არა-რა და ისე დარჩეს, როგორც ეხლა არის“…

თანახმა ვარ, რომ სხვა-და-სხვა ევროპიულ ენებზე მოიპოვება თხზულებანი ჩვენის ქვეყნის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროთ, იმათ ჩვენი ახალგაზდობა ხშირად ვერ გამოიყენებს, რადგან ახალ-გაზდობის უმეტესობამ არ იცის არც-ერთი ევროპიული ენა; საშუალო სასწავლებლებში თუ ისწავლიან რომელიმე ევროპიულ ენას, იმასაც ერთობ სუსტად და ნაკლებათ. მაშ იმ თხზულებების წასაკითხავათ ახალ-გაზდობამ უნდა შეისწავლოს ერთი ან ორი უცხო ენა, და ამას კარგი ძალი დრო მოუნდება, თუ მივიღებთ მხედველობაში ახალგაზდობის მდგომარეობას.

რაც შეეხება იმას, ვითომ ჩემი აზრით და თეორით არ უნდა დაიწეროს ჩვენი ქვეყნის და ცხოვრების შესახებ მეცნიერული თხზულებანი, ეს თვითონ ბ. ს. ლ-ძის ფანტაზიის ნაყოფი არის. მე არ ვამტკიცებდი,

---

ლეთში? მიზეზი იყო ჩვენი სურვილი, რომ ერთის კალმის მოსმით დაგვევიწყებინა ხალხისთვის ყველა ის, რაც მათ შეუძენიათ ათასის წლის განსაკუთრებულ ცხოვრებით; ჩვენ ეხლავე მოვინდომეთ მოგვეშორებინათ ხალხისათვის ყველაფერი რაც მისთვის ძვირფასია და სასურველია. ჩვენ შეურაცხვყავით იმათი ჩვეულებანი, რომლებიც გადმოცემული ჰქონდათ მამა-პაპიდამ; ჩვენ ყურადღება არ მივაქციეთ იმათ ენას, რომელზედაც ლაპარაკობდნენ ათასი წლობით; ჩვენ უბძანეთ დაეკეტნათ იმათ თავიანთი სკოლები. გავა ოციოდ წელიწადი, გამოჩნდება რომელიმე პოლიტიკოსი პედაგოგი და საქვეყნოთ დაიწყებს ქადაგებას, რომ, როდესაც ჩვენ დავიპყარით ეს ქვეყანა, იქ მაშინ არც ერთი სკოლა არ იყოო; ეხლა კი ნახეთ, რა ბიჭები ვართ, რამდენი სკოლები დავხსენითო! ამ სკოლებს, როგორც ვარეწარ დაწესებეებს, ხალხის ხასიათთან საერთო არა აქვსთ-რა და გასაკვირველიც არ ექნება თუ ეს სკოლები დიდი ხანი ცარიელები დარჩებიან. ჩვენ არა გვაქვს არავითარი უფლება ამ შემთხვევაში ხალხი გავამტყუნოთ. იგივე მოხდა ტფილისის პირველს „კეთილ-შობილ სასწავლებელში“, რომელიც დაარსდა 1802 წ. და 1803 კ. არამცთუ მოწაფეები, არამედ თვით სკოლაც არსად იყო. შემდეგში ისევ გახსნეს ეს სასწავლებელი და მასწავლებლებათ დანიშნული იყო ისეთი ხალხი, რომ მთავრობა ხშირად იძულებული იყო დაემწყვდია ესენი ცალკე ოთახში და ყარაულები დაეყენებინათ, რომ სასმელები არავის მიეტანა-რა იმათთვის.

ესეთები იყვნენ ჩვენი პირველი რუსეთიდან ჩამოსული მასწავლებლები.

ამ დროს, როგორც აქ, ჩვენში, ეგრეთვე რუსეთში სწავლა-განათლება იყო ხვედრი ხოლო კეთილ-შობილ ხალხისა, გლეხები ჯერ ისევ იჭყლიტებოდნენ ბატონ-ყმობის უღლის ქვეშ, იმიტომაც იმათ სწავლა-განათლებაზე ზრუნვა არ შეიძლებოდა, სანამ არ გაანთავისუფლებდნენ.

ნეტარხსენებულმა, ახლად-გარდაცვალებულმა იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ გაანთავისუფლა გლეხები და ამ ერთმა რეფორმამ სრულიად შესცვალა სკოლის ხასიათი, იმიტომ, რომ მან შესცვალა მთელი ხალხის ცხოვრება და ამ ცხოვრების მოთხოვნილება.

მაგრამ მარტო განთავისუფლება არ კმაროდა; საჭირო იყო ამ ხალხის განათლება; საჭირო იყო ეს ხალხი იქამდინ აემაღლებინად გონებით, რომ მას შესძლებოდა ამ თავისუფლების შეთვისება და დაფასება; საჭირო იყო სკოლების გახსნა. მაგრამ სად ეშოვნათ მასწავლებლები ამ სკოლებისითვის? ახლად განთავისუფლებული ხალხის ახალ სკოლებს, ხომ ისევ მღვდლებს და გადაყენებულ სალდათებს ჩააბარებდნენ. მასწავლებლები გამოჩნდნენ — ესენი იყვნენ ის ახალ-გაზდობა, რომელიც, როგორც მანანას, ისე ელოდნენ გლეხების განთავისუფლებას. ამ ახალგაზდობას უყვარდა ხალხი და სურდა იმისთვის ეშრომა. მაგრამ საუბედუროთ, ეს გატაცებული მასწავლებლები დიდი ხანი ვერ დარჩნენ სოფლებში, იმიტომ რომ ვერ იცნობდნენ ხალხს, და მაშასადამე არც უყვარდათ იგი. იმათ უყვარდათ ის ხალხი, რომელიც თავში, ოცნებაში ჰყავნდათ გამოსახული, და რომელიც სრულიად არ წააგავდა იმ ნამდვილ, ცოცხალ ხალხს, რომელთანაც იმათ ჰქონდათ საქმე; იმიტომაც ეს ახლად გამომცხვარი მასწავლებლები იძულებულნი გახდნენ თავი დაენებებინათ ამ საქმისათვის.

მომატებული ნაწილი სკოლებისა დაიკეტა. მარტო ეხლა მიხვდა მთავრობა, რომ სკოლის წარმატებისთვის ყოვლის უწინარეს საჭირო არიან კარგათ მომზადებული მასწავლებლები. ამ დროს იწყება საოსტატო სემინარიების და ინსტიტუტების დაარსება, და ამ დროსვე, ე. ი. 1865 წ. ჩვენშიაც დაარსდა საოსტატო სემინარია, რომელიც გადაკეთებული იყო ინსტიტუტათ 1872 წ. შემდეგ გაიხსნენ ყუბანის და გორის საოსტატო სემინარიები და ეხლა, როგორც მოგეხსენებათ, არსდება საოსტატო სემინარია ქუთაისის გუბერნიაში, დ. ხონში.

ამ სასწავლებლების დაარსებიდან იწყება ახალი ხანა ჩვენი სკოლებისა. რადგანაც ამ სასწავლებლებში ყველაზედ უწინ დაარსდა ტფილისის საოსტატო ინსტიტუტი, და რადგანაც იმან ჩვენ მოგვცა კარგა ბლომათ მასწავლებლები და მით სხვებზე უფრო კარგათ გვიჩვენა თავისი ხასიათი, იმიტომაც, თუ თქვენი ნებაც იქნება, მკითხველო, შემდეგში ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ ამ სასწავლებელზე.

რ. ჯაჯანაშვილი.

ტფილისი, 15 აპრილს.

ვითომ მეცნიერული თხზულების დაწერა შეიძლებოდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთი ვინმე დასწერს, და ამ ერთმა ვინმემ უნდა უცადოს სხვა ვინმეს და ასთე დაუბოლოებლათ; მე ვამბობდი, შემდეგს: ვისაც ჰსურს ჩვენი ცხოვრების სხვა-და-სხვა მხარეების მეცნიერულათ შესწავლა, იმას უნდა ჰქონდეს საფუძვლიანი ცოდნა და განათლება; იმან უნდა შესწიროს თავის დრო და შრომა მეცნიერებას“.

„ახალ-გაზდობას არც საჭირო მასალა აქვს, არც იმოდენი მომზადება და არც დრო, რომ შეუდგეს ს. ლ-ძის პროგრამმის სისრულეში მოყვანას“.

საფუძვლიანი ცოდნის და განათლების შეძენა და მეცნიერებისათვის თავის დროის და შრომის შეწირვა შესაძლებელი საქმეა და მაშ ვინც ამაებს შეასრულებს, იმას შეუძლია ხელი მიჰყოს მეცნიერულად ჩვენი ცხოვრების შესწავლას და მეცნიერულ თხზულების წერას.

(გაგრძელება)

# უცხოეთი

**საბერძნეთი.** სტამბოლიდამ იწერებიან, რომ ევროპის უმთავრეს სახელმწიფოებს განზრახვა აქვთ დაეხმარონ საბერძნეთს, რომ ოსმალეთმა გარდასცეს მას ის ადგილები, რომელიც დაჰპირდა საბერძნეთს.

„ჰავასის სააგენტოს“ სწერენ ამის თაობაზედ სტამბულიდამ: ყველა ელჩებს მიუციდათ მიწერილობა, რომ ეხლავე შეუდგენ პორტასთან მოლაპარაკებას და დააჩქარებინონ მას გარდასცეს საბერძნეთს რაც დაჰპირებია; როგორც ამბობენ, სახელმწიფოებიდან მალე დაინიშნება ხალხთა შორის კამისია, რომ გაიყვანონ სამზღვარი ამ ორ სახელმწიფოებს შუა.

— სახელმწიფოების ელჩებმა ათინაში საბერძნეთის წინადადების პასუხათ გამოაცხადეს: ისინი დარწმუნებული არიან, რომ საბერძნეთი მიიღებს სახელმწიფოების წინადადებას და სიტყვას აძლევენ აგრეთვე, რომ გააუმჯობესონ ეპირის მცხოვრებლების მდგომარეობა.

— ვენიდამ იწერებიან, 8 აპრილს: „საბერძნეთს და ოსმალეთს შუა ომი შესაძლებელიაო.“

**თუნისი.** რადგანაც გუშინ ტელეგრამმამ გვაცნობა, რომ ფრანცუზების ჯარი უკვე გადასულა საომრად თუნისის სამთავროს სამზღვარზე; ამისათვის დღეს მოგვყავს შემოკლებული ცნობა შესახებ ამ სამთავროისა:

თუნისის სამთავრო 1575 წლიდამ, ე. ი. ამ სამასი წლის განმავალობაში, ოსმალეთის ქვეშევრდომობაში არის. 25 ოქტომბერს 1871 წ. სულთანმა თავის ფირმანით მიანიჭა თუნისს უმაღლესი უფლება და ამასთანავე გაათავისუფლა იმ გარდასახადისაგან, რომელსაც ის იხდიდა იმ დრომდინ. დამოკიდებულება თუნისისა ოსმალეთთან მდგომარეობს მხოლოთ იმაში, რომ თუნისის ბეის (მთავარს) ამტკიცებს მისს თანამდებობაში სულთანი და იმის ნება-დაურთველად არა აქვს უფლება არც ომის გამოცხადებისა, არც მორიგების პირობის შეკვრისა და არც რომელიმე ადგილების დათმობისა.

თუნისის მთავარს აქვს უფლება სხვა სახელმწიფოებთან დიპლომატიურ მოლაპარაკებისა, მხოლოდ შესახებ თავის შინაგან საქმეებისა; თუ ოსმალეთს ვისთანმე ბრძოლა აქვს, თუნისის ბეი ვალდებულია გაუგზავნოს ოსმალეთს მის განკარგულებაში თავის ჯარი; აგრეთვე უფლება აქვს ფულის მოჭრისა, მაგრამ სულთნის ღერბით. შინაგან საქმეებში მთავარი სრულიად თავისუფალია.

ეხლანდელი თუნისის მმართველის გვარი შთამომავლობით მთავრობს 1691 წლიდამ და არის წარმომადგენელი ბენ-ალი-თურქისა, რომელიც გარდმოსულია კრიტის კუნძულისაგან. ტახტის მემკვიდრეობის წესი და რიგი ისეთივეა, როგორიც ოსმალეთში. ეხლანდელი თუნისის მთავარი მოხამედ-ეს-სადიყ-ფაშა მეფობს 23 სექტემბრიდამ 1859 წ.

თუნისის სამთავროს შეადგენს 41 სხვა და სხვა ტომის ხალხი, რომელნიც არიან გაყოფილნი 18 ადმინისტრატიულ მაზრებად ყაიდების მმართველობის ქვეშ, რომელნიც ინიშნებიან ამ თანამდებობაში მთავრისგან.

# განცხადებანი

## თბილისის ქველ-მოქმედებითი საზოგადოებისაგან

თბილისის ქველ-მოქმედებითი საზოგადოების სხდომის გარდაწყვეტილებით, ამა წლის 21 მარტს დადგენილით და გამოცხადებულით № 65 გაზეთ „ოკავკაზში“, ამ საზოგადოებამ ამოირჩია კერძო კომისია, კნეინა ა. მ. მელიქოვის თავსმჯდომარეობით, დასაარსებლად თბილისში ჩვენგან დაუვიწყარ გარდაცვალებულის ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე ნიკოლოზის მის სახსოვრად თავ-შესაფარ სახლისა ობოლთა ყრმათათვის, ყველა ხელობისა, რჯულისა და წოდებისა; ამ საქმისათვის საჭირო ფული, გარდაწყვეტილია, შეიკრიბოს ხელის-მოწერით.

ეს განზრახვა აცნობეს ამ საზოგადოების უავგუსტოესს მფარველს, მისს იმპერატორებით უმაღლესობას ოლგა თეოდორის ასულს და საზოგადოების თავსმჯდომარემ მ. მ. ჭილიაევისამ მიიღო შემდგომი ტელეგრამმა:

„გულითადი მოხარული ვარ თბილისის ქველ-მოქმედებითი საზოგადოების ამ გვარი გადაწყვეტილებით; მოვიწვევ უფალსა, რათა აკურთხოს მან ეგ ახალი თქვენგან განზრახული სადგომი.“

ოლგა.

ამ ჟამად კავკასიაში ხელის-მოწერით ფულის მოკრეფის ნებართვა ზემოხსენებულის სადგომის ასაგებად, გარდაცვალებულის ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე ნიკოლოზის მის სახსოვრად უმაღლესად, უკვე მიღებულია.

შეწირვა მიიღება ცალკე ხელ-მოსაწერ ფურცლებით (კომისიის ბლანკით, თავის №, საზოგადოების ბეჭედით და კომისიის თავსმჯდომარის და სეკრეტრის ხელის-მოწერით) თბილისში კომისიის წევრებთან: კნეინა ა. მ. მელიქოვისას (ბარიატინსკის ქუჩა, კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწის სადგომში), კ. ი. ოპოჩინინისას (გუდოვიჩის ქუჩაზედ, თბილისის კამენდანტის სადგომში), კნეინა ე. ა. გაგარინისას (ლაბორატორის ქუჩაზედ, თბილისის ღუბერნატორის სადგომში), კ. პ. იანოვსკისას (გოლოვინის პროსპექტი, თამამშოვის სახლები), ლ. ნ. მოდზალევსკისთან (ჭავჭავაძის ქუჩაზედ ზუბალოვის სახლში) და ს. ნ. სტრელეცკისთან (ირაკლის ქუჩაზედ, იუზბაშოვის სახლში, თბილისის სახალხო სკოლების დირექტორის სადგომში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ გამოგზავნონ თავიანთი შესაწირავი ამ ადრესით:

**въ Тифлисъ, княгинѣ Александрѣ Макаровнѣ Меликовой, Барятинская улица, домъ Помощника Главно-командующаго Кавказскою Арміею,** ანუ **Княгинѣ Еленѣ Алкивіадовнѣ Гагариной, въ квартирѣ Тифлисскаго Губернатора.**

შემწირველთ შეუძლიანთ თავიანთი სახელი და გვარი დანიშნონ ცალკე ფურცელზედ, რომელიც გამოგზავნილი იქნება შესაწირავთან, ანა და თვითონ კონვერტზე. ყველა ზემოხსენებულ ქვს პირთაგან უკველ კვირაობით გამოცხადებული იქნება შემწირველთა სია გაზ. „ოკავკაზში“. ვინც შემოიტანს ფულს ხელის-მოწერის ფურცლებით, რომელიც დარიგებული ექნებათ კერძო პირებს და სამმართველოებს, — იმის ანგარიში გამოცხადდება მაშინ, როდესაც ეს სიები დაბრუნებული იქნება. (3—1)

---

**თფილისის ქალაქის გამგეობისაგან**

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ კონნო-ჟანდარმის კამანდისათვის საჭიროა სადგომი ვერაზე, შვიდი ოთახი, თავის სამზარეულოთი, სარაით და ეზოთი 400 ოთხ-კუთხ საჟენით, ექვსი წლის ვადით. სადგომის ქირას ქალაქი 850 მანეთს მისცემს წელიწადში.

მსურველს შეუძლია მიმართოს ქალაქის გამგეობაში (უპრავაში) მუდამ დღე, დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ გარდა უქმ. დღეებისა. (3—1)

---

**სუფრის მოწყობილობა**, სასუფევები, ჩაის სერვიზი და სხვ. ბრიტანიის მეტალისა, მურაბა და სხვ. იაფად **ინგლისის მაღაზიაში.** (10—3)

---

## უმთავრესი კანტორა
# იაგ. კასუმოვის და ამხ.

სავაჭრო სახლისა სთხოვს ვისაც მონაწილეობა აქვს ოპერაციის მეორედ და მესამე გრუპაში შინაგან სესხის მოგებიან ბილეთების გაყიდვაში ვადის გაგრძელებით, მობრძანდენ ხსენებულ კანტორაში ამ წლის 22 აპრილს, ე. ი. ოთხშაბათს $7^1/_2$ საათზედ საღამოს ხვედრი ბილეთის ნომრის ამოსაღებად, რომელიც ერგებად მონაწილეთ. თუ ყველა მონაწილენი ზემო აღნიშნულ გრუპებისა დანიშნულ ვადაზედ არ გამოცხადდენ, მაშინ ბილეთების ამოღება იქნება იმავე დღეს თანდასწრებით იმ მონაწილეთ, რომელნიც გამოცხადდებიან ზედამხედველი კომიტეტის სხდომაზედ შესახებ ფირმის საქმებისა. 1881 წელში დადგენილია ახალი გრუპები, ბილეთების გაყიდვა იმავე პირობებით არის, როგორც აქამდისინ იყო.

(2—2)

---

**თფილისის ქალაქის გამგეობისაგან.**

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, დღეს 18-ს **აპრილს** ნაშუადღევის პირველ საათზე, იმის თანადასწრებით **იქნება ვაჭრობა ფეთხაინის წყლის გასაყვან მილის გაკეთებისათვის.**

ამის პროექტი, სმეტა და პირობები მსურველს შეუძლიან ნახოს ქალაქის გამგეობის კანცელიარიაში მუდამ დღე დილის 11 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ, უქმე დღეებს გარდა.

(3—3)

---

ინგლისის მაღაზიაში

**თმის ამომყვანი**  **მაკ-მასტერი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

(150—60)

---

**ბევრი კრაოტები**

პოდნოსები, კლიტეები, კალმები, ქალალდები, თოფები, რევოლვერები, სტაქნები, ციტრატ-მაგნეზია, კანფეტები, მურაბები და სხვ. ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

იქვე: პალტო 12 მან—დამ, შარვლები 4 მან—დამ, ტრიკო 70 კ. ალაბი, თეფშები 12 კ. ერთი, ჩინეთის ჩაი პირ-და-პირ მოსავლის ადგილიდამ მიღებული 1 მან. 5 კ.—2 მან. (უმჯობესი) გირვ. უქაღალდოთ. ერთი ვაგონი მურაბები 85 კ. (20—20